ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №78

6 მარტი 2014 წ.

მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (საქონელი მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 43-ე მუხლის მესამე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონისა და ,,გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების 22-ე მუხლის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ:

1. შეიქმნას ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

- ირაკლი ახობაძე - მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - ჯგუფის ხელმძღვანელი;
- ტარიელ ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - ჯგუფის ხელმძღვანელის მოადგილე;
- დავით შარაშიძე - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე - წევრი;
- ნინო სიხარულიძე – მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სივრცითი მოწყობის, არქიტექტურისა და მშენებლობის განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი –წევრი;
- გიორგი სიმონია - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - წევრი;

- ირაკლი მეგრელიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტის დროებით მოვალეობის შემსრულებელი მშენებლობის საკითხებში - წევრი;

_ გელა ლომინეიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის საფინანსო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი

- ბექა შენგელია - მუნიციპალიტეტის გამგეობის იურიდიული სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო ორგანოებთან, ფიზიკურ და იურიდიულ პირებთან ურთიერთობის საკითხებში-წევრი

- პაატა ბერიშვილი - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური შესყიდვებისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტის მოვალეობის შემსრულებელი სახელმწიფო შესყიდვების საკითხებში-წევრი

- ვლადიმერ ლომთათიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - წევრი

- შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებული.

2. დაევალოს ინსპექტირების ჯგუფს მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ 2014 წელში სახელმწიფო ბიუჯეტით განხორციელებული (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) და ადგილობრივი ბიუჯეტით განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარება.

3. დამტკიცდეს სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ინსპექტირების ჯგუფის ინსპექტირებისა და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ინსტრუქცია დანართის შესაბამისად.

4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2013 წლის 1 ივლისის ბრძანება N181 ,,მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (საქონელი, მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით ინსპექტირების ჯგუფის შექმნის შესახებ“.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*

დანართი

დამტკიცებულია

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

თავმჯდომარის 2014 წლის 6 მარტის N78 ბრძანებით

მუნიციპალიტეტის თვითმმართველი ორგანოს მიერ დადებული სახელმწიფო შესყიდვების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული განხორციელებული შესყიდვების (მომსახურება, სამუშაო) მიღება-ჩაბარების მიზნით შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის საქმისწარმოების ინსტრუქცია

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.სამუშაოების შესყიდვის ხელშეკრულებების პირობების შესრულების კონტროლის ინსპექტირების ჯგუფის ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმის წარმოების ინსტრუქცია (შემდგომში-ინსტრუქცია) განსაზღვრავს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის მიერ მიწოდებული სამუშაოს მოცულობის, ხარისხისა და მიწოდების ვადების (ტექსტში შემდგომში ოპერაციები) ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის ინსპექტირებასა და მასთან დაკავშირებული საქმისწარმოების ძირითად პრინციპებს, მოთხოვნებსა და პროცედურებს.

2. ინსტრუქციის მიზანია უზრუნველყოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფის თანმიმდევრული, თანაზომიერი, სამართლიანი, შედეგზე ორიენტირებული და ეფექტური საქმიანობა.

მუხლი 2. ინსპექტირების მიზანი

ინსპექტირების მიზანია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ განხორციელებული ოპერაციების პირობების შესრულების კონტროლის განხორციელება და მისი შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან.

მუხლი 3.ინსპექტირების განხორციელება

1.ინსპექტირებას ანხორციელებს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი.

2.ინსპექტირების ჯგუფის უფროსი კორდინაციას უწევს ჯგუფის მუშაობას, ხელს აწერს ჯგუფის მიერ შემუშავებელ დოკუმენტაციას, დავალებას აძლევს ჯგუფის ცალკეულ წევრს. უზრუნველყოფს ჯგუფზე კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელებას;

3. საფინანსო სამსახურის წარმომადგენელი უზრუნველყოფს ინსპექტირების ჯგუფში შესასწავლად შემოსული დოკუმენტაციის ფინანსურ შემოწმებას, ოპერაციებისა და ქმედებების სრულად, ზუსტად, დროულად და რეგულალურად აღრიცხვის პროცედურების კანონიერების შეფასებას;

4. ეკონომიკის, ინფრასტრუქტურისა და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის წარმომადგენლები უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დაგეგმილი და მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტებთან დაკავშირებული, ინსპექტირების ჯგუფში წარმოდგენილი ოპერაციების შესწავლას, შესრულებული სამუშაოების მოცულობების დადგენას, შესრულების ხარისხისა და საიმედოობის შესახებ შესაბამისი დასკვნის მომზადებას;

5.მუნიციპალური შესყიდვების სამსახურის წარმომადგენელი უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს და მომსახურების შესყიდვის თაობაზე ინსპექტირების ჯგუფში შემოსული დოკუმენტაციის შესწავლას და შესაბამისი დასკვნის მომზადებას, ხელშეკრულების შესრულების ვადების კონტროლს, ვადაგადაცილების გამო პირგასამტეხლოს თანხის განსაზღვრას, ხელშეკრულების მიწოდება ინსპექტირების ჯგუფისთვის;

6. ქონების მართვის სამსახურის წარმომადგენლები უზრუნველყოფს შესრულებული სამუშაოს და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებით ინსპექტირების ჯგუფში შემოსული ოპერაციების შესწავლას, სამუშაოების შესრულებით მიღებული ქონების აღრიცხვას, ქონების კატეგორიების განსაზღვრასა და სათანადო დასკვნის მომზადებას;

7.იურიდიული სამსახურის წარმომადგენელი უზრუნველყოფს ოპერაციების წარმოებისას საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების მოთხოვნათა დაცვის შეფასებას;

8. შესაბამისი ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელი უზრუნველყოფს ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე მიმდინარე ოპერაციების თაობაზე ინფორმაციის ინსპექტირების ჯგუფისათვის მოწოდებას.

9.ჯგუფის წევრები ასევე უზრუნველყოფენ მოქმედი კანონმდებლობითა და შესაბამისი სამსაურის დებულებით განსაზღვრული ფუნქციების განხორციელებას.

მუხლი 4. „მიმწოდებლის“ (შემსრულებლის) ვალდებულება

1.„მიმწოდებელი“ (შემსრულებელი) ვალდებულია ხელი შეუწყოს ინსპექტირების განმახორციელებელ ჯგუფს ინსპექტირების პროცესში მისი კანონიერი ქმედებების განხორციელებისას .

2.„მიმწოდებელმა“ (შემსრულებელმა) ინსპექტირების განხორციელებისას არ უნდა დაუშვას მოთხოვნილი დოკუმენტების წარმოუდგენლობა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობა.

3.ინსპექტირების განმახორციელებელი აფრთხილებს „მიმწოდებლის“ (შემსრულებლის) წარმომადგენლის, ინსპექტირების განხორციელებაში ხელის შეშლის შემთხვევაში კანონმდებლობით გათვალისწინებული მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ.

4. „მიმწოდებელი“ (შემსრულებელი) ვალდებულია ინსპექტირების ჯგუფს წარმოუდგინოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, ინსპექტირებისთვის საჭირო საეტაპო ოქმები, ფარული სამუშაოების აქტები (ფოტომასალებთან ერთად) შედგენილი და დამოწმებული ტექნიკური ზედამხედველის მიერ და კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა დოკუმენტაცია.

მუხლი 5. ჯგუფის მუშაობა

1.ინსპექტირების ჯგუფი ვალდებულია წარმოადგინოს დასკვნა „მიმწოდებლის“ (შემსრულებლის) მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესახებ. დასკვნაში ასევე უნდა მიეთითოს ჯგუფის მიერ განხორციელებული ინსპექტირების თარიღი, შესყიდული სამუშაო და მომსახურების სრული დასახელება და მასთან დაკავშირებული ყველა რეკვიზიტი; განხორციელებული სამუშაოს სრული აღწერა და ხელშეკრულებასთან შესაბამისობა.

2.ინსპექტირების ჯგუფის წევრები თავის ფუნქციებიდან გამომდინარე, ამზადებენ ჯგუფის დასკვნის პროექტს და წარუდგენენ ჯგუფის უფროსს. ინსპექტირების ჯგუფის დასკვნას ხელს აწერს ჯგუფის უფროსი და ყველა წევრი. დასკვნა და შესაბამისი დოკუმენტაცია, გამგებლის რეზოლუციით შემდგომი რეაგირებისათვის გადაცემა გამგეობის საფინანსო სამსახურს.

3.„მიმწოდებელსა“ (შემსრულებელს) და შემსყიდველს შორის ფორმდება ოპერაციის მიღების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების ფორმა N2, რომელსაც ხელს აწერს ინსპექტირების ჯგუფის უფროსი.

4.ინსპექტირების განმახორციელებელმა დოკუმენტის სახით არსებული მტკიცებულება უნდა მოიპოვოს შემდეგის გათვალისწინებით:

ა) ქაღალდის ფორმით არსებული დოკუმენტების შემთხვევაში შემოწმებულ და შესწავლილ უნდა იქნეს მათი ორიგინალები (მათი არსებობისას), ხოლო თუ ასლის გადაღებაა საჭირო, ეს უნდა მოხდეს ინსპექტირების განმახორციელებლის მეთვალყიურეობით;

ბ) ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემთა შემთხვევაში უნდა გაკეთდეს მათი ამონაბეჭდი ან ასლები ინსპექტირების განმახორციელებელი პირის მეთვალყურეობით.

5.ინსპექტირების განმახორციელებელმა უნდა მოითხოვოს დოკუმენტის ასლის დამოწმება მიმწოდებლის (შემსრულებლი) წარმომადგენლის ხელმოწერითა და შესაბამის ბეჭდით (მისი არსებობისას).

6.ინსპექტირების განმახორციელებელი პირები მოვალენი არიან დაიცვან მოპოვებული მტკიცებულებები საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.